სამეგრელო... დღის შუქი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
6
ივლისი
№ 80 (10473)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მის აღმატებულებას ბატონ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ!

გვაქვს პატივი გულთბილად მოგესალმოთ ქალაქ ზუგდიდიდან და საერთოდ, სამეგრელოს რეგიონთან თავისი ფესვებით უმჭიდროესად დაკავშირებული ინტელიგენციის სახელით გამოგიცხადოთ მხურვალე თანადგომა დამოუკიდებლობის გზაზე მტკიცედ შემდგარ საქართველოს მთელ მოსახლეობასთან ერთად.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ცარისტული და კომუნისტური რეჟიმების ბატონობამ თითქმის მთლიანად მოშალა საქართველოს და მისი ერთ-ერთი რეგიონის, სამეგრელოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრება. უდიდესი ზიანი მიადგა ეროვნულ ცნობიერებას, კულტურულ ტრადიციებს. ამ მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა, ერთიანი საქართველოს მშენებლობასთან ერთად, მოითხოვს კულტურული პოლიცენტრიზმის (რა თქმა უნდა, საერთო—ქართულ ქრისტიანულ ნიადაგზე) აღორძინებას.

ამ მიზნის განსახორციელებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქალაქ ზუგდიდში ისეთი ტიპის უმაღლესი სასწავლებლის დაარსება, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბებას. ქალაქ ზუგდიდში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა მინიმუმამდე დაიყვანს სამეგრელოდან და სვანეთიდან ახალგაზრდობის მიგრაციას როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ხელს შეუწყობს ამ კუთხის მდიდარი კულტურული ტრადიციების აღორძინებას, ნიჭიერი ინტელიგენციის ადგილზე დასაქმებას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და განიხილოთ საკითხი ქალაქ ზუგდიდში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების თაობაზე. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას საორგანიზაციო მუშა-ჯგუფი, რომელიც წამოაყენებს კონკრეტულ წინადადებებს უმაღლესი სასწავლებლის ტიპისა და სტრუქტურის შესახებ.

ულრმესი პატივისცემით

ილია ანთელავა,
ნუგზარ ანთელავა,
ბათუ დანელია,
ზაურ კალანდია,
ზაურ მოლაშხია,
დავით სართანია,
ჯემალ ქირია,

## ღია წერილი

### ქალაქის კომუნალური განყოფილების გამგეს ბატონ თ. ჭანკვეტაძეს
### ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ გ. ხუბულავას
### წყალკანალის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ბატონ გ. ქილახონიას

ქალაქ ზუგდიდში გამავალი მდინარე ჩხოუშია, ეკოლოგიურად კატასტროფულ მდგომარეობაშია, ამის გამომწვევი მიზეზები მრავალგვარია. მოშლილია გამწმენდი ნაგებობები და მდინარეში ჩაედინება ფეკალური და საწარმოებიდან გამომდინარე სხვადასხვა მინარევებიანი წყლები—მდინარის კალაპოტი საშინლად გაბინძურებულია. და ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სანაპირო ზოლის მახლობლად მცხოვრებ მოქალაქეთა ნაგავსაყრელადაა გადაქცეული.

გამომდინარე აქედან ქალაქ ზუგდიდის მწვანეები მოგმართავენ თხოვნით გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კერძოდ:

უზრუნველყოფილ იქნას სანაპირო ზოლი ნაგავსაყრელი ყუთებით და ნაგავგამტანი მანქანებით, რომლის შემდეგ დაწყებულ უნდა იქნას მდინარის კალაპოტის გასასუფთავებელი სამუშაოები.

მოეთხოვოს ყველა საწარმოს, რომელიც მდინარეში უშვებს თავისი საწარმოს ნარჩენებს, გამართონ თავიანთი გამწმენდი ნაგებობები.

ზუგდიდში დაიწყონ ახალი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ რაიონის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების სანაპიროების ნაგავსაყრელად გადაქცევისა და გაბინძურების შესახებ არა ერთი მწვავე კრიტიკული პუბლიკაცია გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთში. მაგრამ იმ სამსახურების მუშაკებმა ვისაც ამ დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა და კონტროლი ევალება დღემდე არაფერი გვაცნობა იმის შესახებ თუ რის გაკეთებას ისახავენ ისინი ახლო მომავალში. 22 ივნისს გაზეთ „ოდიშის" ფურცლებზე მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის ტყისა და მდინარეთა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ვ. ფაცაციას წერილში „რეკავს განგაშის ზარი" ზუგდიდში შექმნილ მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის სრული სურათია დახატული. მაგრამ სამწუხაროდ ეს წერილი, ისევე როგორც სხვა პუბლიკაციები ყურადღების მიღმა დარჩა.

დღეს როდესაც მთელი მსოფლიო მეცნიერული აზრი და ტექნიკური ინტელიგენცია შავი ზღვის გადარჩენის სამსახურშია ჩამდგარი, რაიონში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება არავის ეპატიება. არა და საქმე გვაქვს ეპიდემიური აფეთქების საშიშროებასთან, მოგახსენებთ, რომ წყლის სისუფთავეზე უშუალოდ არის დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა. გამორიცხული არ არის ჩვენს ქალაქშიც მოხდეს ისეთივე ეპიდემიის გავრცელება, რასაც რამდენიმე წლის წინათ ადგილი ჰქონდა ჭვარის დასახლებაში.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე თუ ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლება არ მიიღებს შესაბამის ღონისძიებებს ზუგდიდის მწვანეები იძულებულნი ვიქნებით მივმართოთ პროტესტის სხვა და სხვანაირ ფორმას.

ზუგდიდის მწვანეები

ქ. ზუგდიდის საკრებულოს პირველი მოწვევის მეორე სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 11 ივლისს 13 საათზე.
დეპუტატთა რეგისტრაცია 12 საათიდან.

## შეიქმნა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაცია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 აპრილის დადგენილებით რეგისტრირებულია წესდება და შეიქმნა ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაცია.

ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაცია დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს ყველა იმათ, ვინც დაინტერესებულია ან მუშაობს საქართველოს ისტორიულ კულტურულ და სხვა ურთიერთობაზე ევროპის ქვეყნებთან. ან სურთ რაიმე წვლილი შეიტანონ ამ ასოციაციის კეთილშობილურ საქმიანობაში.

ასოციაციის მიზანია უცხოეთის (საფრანგეთი, იტალია, ვატიკანი, ესპანეთი, ავსტრია, ინგლისი, აშშ და სხვ.) ქვეყნებში საქართველოს შესახებ არსებული მასალების შეგროვება, ფოტოპირების გადაღება და უფასოდ ჩამოტანა. რამდენადაც ამ მასალების შესასყიდად საქართველოს დღეს ვალუტა არ გააჩნია, ასოციაცია ცდილობს ეს დიდი ეროვნული საქმე გააკეთოს უცხოელი და ქართველი ქველმოქმედი პირებისა და ორგანიზაციების საშუალებით.

ის უცხოელი ქველმოქმედი, ვინც საქართველოსათვის ამას გააკეთებს, მოწვეული იქნება სტუმრად საქართველოში ასოციაციის ხარჯზე, ხოლო ეს ხარჯები უნდა შედგეს ჩვენი თანამემამულე ქველმოქმედი პირებისა და ორგანიზაციების მიერ გადმორიცხული თანხებიდან. ეს თანხები ასევე მოხმარდება ასოციაციის ბიულეტენის, ჟურნალისა და წიგნების გამოცემას.

იმ უცხოელის სახელი და გვარი, რომელიც ჩამოიტანს ან გამოგზავნის მასალებს, და ასევე იმ ჩვენი თანამემამულის სახელი და გვარი, ვინც გადმორიცხავს (შემოწირავს) თანხას და დაგვეხმარება ამ უცხოელი სტუმრის მიღებაში, აღნიშნული იქნება ბიულეტენში, ჟურნალში და წიგნებში, რომელთა გამოცემა გათვალისწინებული აქვს. ასოციაციის წევრთა და ქველმოქმედთა სახელი და გვარი გამოქვეყნდება ყოველწლიურად ბიულეტენში.

ასოციაციის ინდივიდუალური წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხოეთის ნებისმიერი მოქალაქე, ხოლო კოლექტიური წევრი—როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სამეცნიერო და არასამეცნიერო ორგანიზაცია. ასოციაციის წევრი იხდის საწევრო შესატანს წელიწადში 10 მანეთს. ასოციაციის პრეზიდენტია ევროპის ქვეყნების არქივების აქტიური მკვლევარი, პროფესორი ილია ტაბაღუა.

ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაციის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა ზაალ ქორთუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველანი მოუთმენლად ველოდით

საქართველოს მოსახლეობამ გარკვეული ლოდინის შემდეგ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის სამართლებრივ ნორმატიული დოკუმენტი —საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ. ამ საეტაპო მოვლენას ღრმად იცნობიერებს დღეს ჩვენი რესპუბლიკის ნებისმიერი მოქალაქე. ყოველივე ეს განაპირობა ისტორიულმა კანონზომიერებამ, საქართველოში არსებითად შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ. საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარეობს ურთულესი პროცესები, თვისობრივი ცვლილებები დემოკრატიის გაფართოების მიმართულებით, ეკონომიკასა და სულიერ სფეროში ისახება ეძლევა ახალ სტრუქტურებს. ბუნებრივია, სიახლეთა ამ დინამიკას მხარი უნდა აუბას ახალმა სამართლებრივმა ნორმებმა, რომლებიც სწორად დაარეგულირებენ მოქალაქეობრივ დამოკიდებულებათა მრავალსახა სფეროს, განსაზღვრავენ პიროვნების სტატუსს, მის უფლება—მოვალეობებს და ა. შ.

ახალი კანონის პროექტში ამ უსათუთესი პრობლემის ბევრი მხარე და ასპექტი ღრმად და გონივრულად არის გაანალიზებული და წარმოდგენილი. მეტად ნაგულისხმო და მრავლისმეტყველ დებულებად მესახება პროექტის მეორე მუხლი, სადაც წერია: „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიიღება პირი, რომელიც მუდმივად იცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. იცის ქართული ენა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. ეცოდინება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძვლები და აღიარებს მას, ეცოდინება საქართველოს ისტორია.

ეს მოთხოვნა უეჭველად გამოიღებს კეთილ ნაყოფს. გულში ჩაახედებს იმათ, ვისაც საქართველო მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის უნდა, ხოლო ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ენას, წარსულს პატივს არ სცემს.

ეს ის კანონია, რომელიც ბევრ რამეს თავის ადგილზე დააყენებს.

ზ. შეროზია.

# სოფელი გარჯითაა...

სოფელი გარჯით მშვენდება. მისი შემოქმედნი მუდამ გამრჯელი ადამიანებია. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა სოფელ ოქტომბერში შურა და დათიკო აფხაზავების ოჯახი, რომელთაც მამისგან მიღებული მცირედი ქონებით დაიწყეს ცხოვრება და შესანიშნავი ოჯახი შექმნეს. მათ კვალს გაჰყვა შვილი კამოც. იგი მეუღლე ინეზასთან ერთად ოთხ შვილს—სამ ქალიშვილსა და ერთ ვაჟს ზრდის.

მოწინავე კოლმეურნეები არა მარტო ჩაის პლანტაციაში, არამედ აბრეშუმის პარკის მოყვანაშიც აქტ[illegible]ობენ. 15 ტონა ჩაის მოკრეფას გვპირდებიან ისინი აღებული პლანტაციიდან, აგრეთვე 150 კილოგრამ აბრეშუმის პარკს ჩააბარებენ მრეწველობას.

ამით თავიანთ ოჯახურ წვლილს შეიტანენ ქვეყნის წინსვლაში.

არ მოშლოდეთ გამრჯე ადამიანებს სიკეთე და ჯანმრთელობა!

ა. ზამუგია.

# სასურველია ასეთი შეხვედრები

საქართველოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალში მოეწყო ქიმიის მასწავლებელთა კურსები, რომელსაც უძღვებოდა ამავე ინსტიტუტის ქიმიის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე მიმოზა ქობალია.

კურსებზე მოწვეულნი იყვნენ ხობის, სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის რაიონების და ზუგდიდის ქიმიის მასწავლებლები. წაკითხულ იქნა მოხსენებები კვალიფიციური სპეციალისტების მიერ მე-11 კლასებში ახალი პროგრამით ზოგადი ქიმიის სწავლების შესახებ, საერთოდ ზოგადი ქიმიის, ეთიკის, ეკოლოგიის, საქართველოს ისტორიის, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის, სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის მთელი რიგი საკითხების შესახებ.

ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ქიმია და თანამედროვეობა". მოეწყო ვიქტორინა.

პედაგოგმა ნ. მოლაშხიამ ჩაატარა საჩვენებელი ღია გაკვეთილი.

ქიმიის სწავლების დაწყებისას სახალხო ცდების ჩატარებაზე და მის მნიშვნელობაზე მსმენელებს ესაუბრა მიმოზა ქობალია.

მსმენელები დაათვალიერებლად ესტუმრნენ საწარმოო გაერთიანება „საქქალამრეწ[illegible]", დადიანების მუზეუმს.

სასურველია, ასეთ შეხვედრებს სისტემატური ხასიათი ჰქონდეს.

თ. ღურწკაია,
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

## გაუფრთხილდეთ მწვანე ნარგავებს

საზოგადოების დიდი ნაწილი ძალზე მტკივნეულად განიცდის ქალაქის ცენტრალურ ნაწილში თუ უბანში მწვანე ნარგავების მოჭრისა და ამოძირკვის ფაქტებს. და ეს ბუნებრივიცაა. მწვანე ნარგავები ხომ ქალაქის ფილტვია, ჩვენი ჯანსაღი მომავალია.

რედაქციაში მოდის წერილები, რომლის ავტორები გულისტკივილს გამოთქვამენ მწვანე ნარგავებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულებისათვის და მის ჩეხვას, ამოძირკვას თვლიან ბარბაროსულ მოქმედებად.

მოქალაქე ბ. ფარცვანია, რედაქციაში გამოგზავნილ კორესპონდენციაში წერს: გული დამწყდა, როცა ბულვარის ერთ კუთხეში ბზის ნარგავების ამოძირკვას შევესწარი. ყველას კარგად მოეხსენება თუ როგორ ძნელად იზრდება ბზა და რამდენი წელიწადია საჭირო რომ იგი ბუჩქად იქცეს. საკითხავია ვის რა დაუშავა ამ ნარგავმა. უფრო მიზანშეწონილი თავის ადგილას და თუ სხვა მცენარის დარგვას ვაპირებდით, ხომ შეიძლებოდა მისთვის სხვაგან გამოგვენახა ადგილი.

წერილის ავტორს ვერ გაამტყუნებ. ასე უნდა მოიქცეს ჩვენი ქალაქის ყველა გულშემატკივარი, როცა ხედავს რომ მის თვალწინ ნადგურდება წლობით ნალოლიავები მცენარე. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ დაავადებული ნარგავი, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება უნდა ამოძირკვოს რათა ავადმყოფობა სხვა მცენარეებსაც არ გადაედოს.

რედაქციამ თხოვნით მიმართა ქალაქის გამწვანების კანტორის უფროსს კარლო ჩოკორაიას განემარტოს ქალაქის მოსახლეობას რატომ მოხდა ბზისა და სხვა ნარგავების ამოძირკვა ბულვარის ტერიტორიაზე.

როგორც სპეციალისტების დასკვნიდან ირკვევა ბზა დაავადებული ყოფილა და მისი ამოძირკვა სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი და გადაუდებელი. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით არის საუბარი წერილში, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ:

# ეჯემის ბაღად უნდა ვაქციოთ...

ქალაქის მოსახლეთა ერთ ნაწილს აინტერესებს თუ რატომ იქნა ამოძირკული ბულვარის მარცხენა მხარეს ბზის მაღალი ბორდიური, ამის თაობაზე მიმართეს ზემდგომსა და თქვენს რედაქციას, მე როგორც ქალაქის გამწვანების კანტორის უფროსი შემიძლია დაბეჯითებით განუმარტო დაინტერესებულ პირთ თუ რა გეგმებია დასახული ჩვენი ქალაქის „მწვანე არტერიის" კეთილმოწყობისათვის.

რეგულარული სტილით გაშენებული მაგისტრალური ბულვარი ქალაქში წარმოდგენილია ორი ცენტრალური ქუჩის სავალი ნაწილის შუა ღერძზე და იგი როგორც შენობა-ნაგებობების, ასევე ქუჩის არქიტექტურული გაფორმების ელემენტს წარმოადგენს, ამასთან ერთად ბულვარი წარმოადგენს ქვეითად მოსიარულეთა დროებით დასვენების საუკეთესო ობიექტს. ბულვარი, რომელიც დაგეგმილი და გაშენებულ იქნა ჩვენი დიდებული მამულიშვილის რაფიელ ერისთავის მიერ შემოკავებულ იყო ბორდიურების სხვა და სხვა ფორმით, ხოლო ჩვენამდე მოაღწია მის გარშემოწერილობაზე ტრიფოლიატის მაღალი ბორდიურით, ხოლო შიდასაგაზონე სწორხაზოვანი ბზის ორივე ფორმის ბორდიური გაშენებ[illegible] ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, იმ დროისათვის გამოჩენილი და [illegible] [illegible]ზიბი საპარლეტისა და გუდუფიფიას მიერ, ამ პერიოდში შეიცვალა შიდა მცენარეული საფარით და იქ გამოყენებულ იქნა ძირითადად ეგზოტიური მცენარეები, რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ ბზის ბორდიური დარგულია დადიანის მმართველობის პერიოდში, არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან ბულვარის კი არა მასზე დიდი ხნის სასახლის ბაღის ბზის ბორდიურები დარგულ იქნა 1900-1901 წლებში (დაინტერესებულ პირებს შეგვიძლია გავაცნოთ ქალაქის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ყველა ხნიერი ხე-მცენარეთა მოკლე ისტორია).

ცნობილია რომ მწვანე ბორდიურის ფუნქცია საბაღო-საპარკო მშენებლობაში შეადგენს: მწვანე ზოლის გარემოსაგან გამოყოფა, მწვანე ფონის შექმნა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის რეგულირება. ბულვარის ირგვლივ შემოვლებული ტრიფოლიატის მაღალი ბორდიური შეცვლილ იქნა 1965 წელს უფრო დაბალი იაპონური ჭანჭყატის ბორდიურით, ვინაიდან როგორც შესწავლილია ჩვენი პირობებისათვის ტენიანი სუბტროპიკული რაიონების ბაღ-პარკებისათვის ბორდიურების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 30-40 სანტიმეტრს, ვინაიდან მაღალი ბორდიური წარმოადგენს ნიადაგში მავნებლებისა და დაავადებათა ფართო კერას და ხელს უშლის ჰაერაციას, რაც ესოდენ საჭიროა მასობრივი დასვენების ადგილებში.

უკანასკნელ წლებში მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებისა ბულვარის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და ქალაქის ეს ერთ-ერთი მშვენება კარგავდა თავის იერსახეს, განსაკუთრებით განადგურდა ბზის ბორდიური, იგი გადაიქცა მცენარეთა დაავადებათა და მავნებლების კერად, რამაც გამოიწვია მთელი შემადგენლობის 60-65 პროცენტით გახმობა (ადგილზე გამხმარი მცენარეთა ნაწილი კომისიის მუშაობისას ფოტო-ფირზე იქნა აღბეჭდილი).

ცოტა უკეთესი მდგომარეობა იყო მარჯვენა მხარეს, თუმცა მასაც ხვალ და ზეგ ასეთივე ბედი ელის. ბზა ძირითადად დაავადებული იყო ნაცროვანი და ქანგოვანი დაავადებებით, მასზე ბლომად სახლობდნენ ციტრუსოვანთა ფრთათეთრა და ბზის ქეჩოსანთა ფარიანა. მცენარის შეწამვლას სასურველი შედეგი არ მოუცია, ხოლო რაც შეეხება მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლას ზრდადამთავრებული ბზა ამას არ ექვემდებარება, ვინაიდან გადაჭრილი ბუჩქები ამონაყარს არ იძლევა.

როცა დადგა ბულვარის აღდგენა-რეკონსტრუქციის საკითხი სპეციალურმა კომისიამ მის ამოღებას და განადგურებას მხარი დაუჭირა, ხოლო იმავე ადგილას ახალი ისეთივე სახეობის ბზის ჯანსაღი ნერგების დარგვა დაამტკიცა, რაზედაც მიმდინარეობს ამჟამად მოსამზადებელი სამუშაოები. და რგვის სეზონის დადგომისთანავე მთლიანად იქნება აღდგენილი. გარდა ამისა კეთილმოეწყობა გაზონები, როგორც გვერდითი ასევე წყალგამტარი არხის ორივე მხარეს, მოეწყობა დამატებითი გადასასვლელები, და იდგმება ახალი დეკორატიული სკამები, მოეწყობა შესაფერისი ლამპიონებით ელექტროგანათება და ამასთან ერთად ნავარაუდევია ფეხსავალ ნაწილში მთლიანად დაგებულ იქნეს დეკორატიული ფილები, რის შემდეგ ბოლო მოეღება მიწისა და ნამცეცების გადარეცხვას, შერჩეულია როგორც მერქნიანი ასევე ბალახოვანი მცენარეები ბაღის გასამდიდრებლად, ბულვარის შესასვლელში (რუსთაველის ქუჩიდან) ქალაქის არქიტექტურას და გეგმილი და შედგენილი აქვს მემორიალური კომპლექსის დიდებული პროექტი, რომლის განხორციელების შემდეგ იგი ერთ-ერთი საუკეთესო დასვენების ობიექტი იქნება ჩვენს ქალაქში.

ქალაქის გამწვანების მუშაკები ძალზე მტკივნეულად განიცდიან თითოეული ხე-მცენარისა და ბუჩქის მწყობრიდან გამოსვლას, დაუყონებლივ ხდება, მცენარეთა ახალი სახეობების შევსება და შეცვლა, ღრმად იყოს დარწმუნებული თითოეული ზუგდიდელი მხოლოდ უკიდურესობის შემთხვევაში ვაკეთებთ იმას, რაც აუცილებელია ქალაქის მწვანე მეურნეობის გაჯანსაღებისათვის, აქ მთავარი სიტყვა უნდა თქვენ ნაღდმა ზუგდიდელებმა, მხარში უნდა ამოგვიდგნენ ყველგან და ყველაფერში, მხოლოდ მაშინ იქნება წალკოტი ქალაქის თითოეული უბანი, არადა რა საზარელი შესახედავია დაჩეხილი ჰადრები დავით აღმაშენებლისა და რუსთაველის ქუჩაზე (ზოგიერთ ვაი მცხოვრებთა ნამოქმედარი), ცოდვილი არიან ისინი ვინც 120-ზე მეტ ძირ პალმას ცეცხლი მოუკიდა და დაწვა.

ხვალინდელი თავისუფალი საქართველო—ედემის ბაღად უნდა ვაქციოთ, ამას დღესვე ჩავუყაროთ მტკიცე საძირკველი.

კარლო ჩოკორაია,
მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რაიონის საკოორდინაციო საბჭ[illegible] [illegible] [illegible] გამწვანების კანტორის უფროსი.

შრომაა უპირველესი სიქველე

# მი[illegible]ს დიდი ცხოვრება

სახალხო განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილი საქმიანი შეხვედრების ტრიბუნიდან არაერთხელ ითქვა: მოსწავლე ღრმად უნდა წვდებოდეს თავისი სამშობლოს წინაშე მდგომი სადღეისო, თუ სამომავლო ამოცანების. სიმწვავეს და აქედან გამომდინარე უნდა მოახერხოს საკუთარი ნებისა და შესაძლებლობების ჩართვა მათს რეალიზაციაში.

ეს მოთხოვნა აქცენტირებულია დროის იმ მონაკვეთზე, როცა იგი საშუალო სკოლის დამთავრების ზღურბლთან დგას. აგრეთვე იმ პერიოდზეც, როცა სამუშაოდ სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგს მიაშურებს.

როგორც ნათქვამი მიგვანიშნებს, პრობლემა გლობალური მასშტაბით არის დაყენებული. მაგრამ იმედი გვაქვს, მისი პრაქტიკული გადაწყვეტის გზებზე და საშუალებებზე რეგიონის უკლებლივ ყველა სკოლის ხელმძღვანელები ფიქრობენ დღეს. არაფერს ვამბობთ ეროვნული სკოლის კონცეფციით ამჟამად ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის ახალორძინებლად მოხმობილ უმთავრეს მიმართულებებზე. დარგის საუკეთესო წარმომადგენელთა ნათელი გონებით და მამულიშვილური ძალისხმევით ქართული სკოლა უცილობლად გაარღვევს აქ დამკვიდრებულ ავტორიტარულ-ბიუროკრატიულ ჩებირებს. მოხდება სწავლების დიფერენცირება. განისაზღვრება ყველაზე ოპტიმალური პროფილები, საფეხურები. ძირფესვიანად შეიცვლება სახელმძღვანელოების აგების პრინციპები და სისტემა.

ამ წერილში მკითხველებს უბრალოდ მინდა გავანდო ჩემი პირადი დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და ცხოვრების ურთიერთმიმართების პრობლემისადმი, ერთგვარად შევეცადო იმის გარკვევას, თუ რამდენად ახერხებს სკოლა დღეს მოზარდების მომზადებას ცხოვრებისათვის.

რეალობამ ათასგზის დაადასტურა უდაო ჭეშმარიტება, რომ ცოდნა, თუნდაც მყარი იყოს იგი, თუ აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციად, თვით დამკვიდრების ფორმად არ გარდაისახა, უნაყოფოდ ჩავლილი გონებრივი ვარჯიშობაა მხოლოდ. ამის გათავისება დღეს ხულ სხვა სიმაღლეზე უნდა მოხდეს ნებისმიერი საგნის მასწავლებლის მიერ, რამეთუ საკითხი ეხება ხვალინდელი საქართველოსათვის ღირსეული თაობის მომზადებას.

შესანიშნავად აქვს ნათქვამი დიდ პედაგოგს უშინსკის: „მარტო სასკოლო აღზრდა როდი ნიშნავს ყველაფერს. ადამიანი იზრდება და მწიფდება ცხოვრებაშიო". სიმწიფის ატესტატში მხოლოდ მოსწავლის პოტენციური შესაძლებლობანი, მის პიროვნებაში ჩამოქნილი შრომითი ჩვევებისა და ნებისყოფის ერთგვარი მინიმუმია ნაგულისხმევი, რომელმაც ხვალ და ზეგ მოზარდი შრომის კაცად, საზოგადოების აქტიურ წევრად უნდა აქციოს. როგორადაც არ უნდა შეიცვალოს სასკოლო ცხოვრების სტრუქტურა, მასში შრომითი აღზრდა ყოველთვის დაიჭერს კუთვნილ ადგილს. ცოცხალი, შრომითი მაგალითები, საინტერესო მეურნეული ბიოგრაფიის ადამიანები, თუ მათთან ზიარების ხალისიან ფორმებს მივაგნებთ, ყოველთვის შემოიტანს ახალგაზრდის ცნობიერებაში სასურველ მუხტს. რაც მთავარია, მან შესაძლოა მოზარდს საკუთარი გზის პოვნაშიც გაუწიოს დახმარება.

ამ ათიოდე წლის წინანდელი ამბავი მაგონდება. კოსტრომის ოლქის ერთერთი სოფლის სკოლამ აიღო თაოსნობა კურსდამთავრებულთა სოფელში სამუშაოდ დარჩენის თაობაზე. ამ ინიციატივას მაშინ ახალ[illegible]მა ახალგაზრდებმაც აუბეს მხარი. სხვათა შორის, ზოგი მათგანი დღემდე შერჩა სოფლის მეურნეობას და წესიერი, გამრჯე კაცის რეპუტაციით სარგებლობს. ღმერთმა დამიფაროს, ამდაგვარი, ზემოდან დაგეგმილი ინიციატივების აპოლოგეტად გამოვჩნდე. უბრალოდ, იმ მომენტს მინდა ყურადღება მივაპყრო, რომ მარჩენალ მიწას, საერთოდ სოფელს ახალგაზრდამ ზურგი არ უნდა აქციოს. ზოგჯერ მაქვს შესაძლებლობა მშობლიურ სოფელში ყოფნისა. შრომობს, ფაცი-ფუცობს ხალხი. დამუშავებულ-მოვლილი მიწის ნაკვეთები თვალს სიამოვნებს. მაგრამ ერთი შტრიხი გულს მაინც ტკენს: მიწას შეჭიდებულთა შორის მაინც ხანდაზმულები ჭარბობენ. და ეს იმ დროს, როცა სოფლად თუ ქალაქად უსაქმოდ მოხეტიალე ახალგაზრდების რიცხვი ლეგიონია. თავი უნდა დაედგას ამ საკითხს. სხვანაირად სოციალური დაძაბულობის განმუხტვა არ მოხერხდება.

დღეს, უამრავი საჭიროებით შეჭირვებულ მამულს ახალგაზრდების მაქსიმალური მხარდაჭერა სჭირდება. ყოველმა მათგანმა მშობლიური მიწისა და ცის ბატონ-პატრონად, დოვლათის შემქმნელად უნდა ჩათვალოს თავი.

**ლია ფარცვანია,**
ქალაქის მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

# გიყვარდეთ იუმორი

იუმორი, ანეგდოტები მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მას საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა და დღესაც ქმნის ხალხი. იგი სიცილს გვრის, ამხნევებს, ამხიარულებს ადამიანს. ოპტიმიზმის რწმენასაც უნერგავს. ერთი მწერლის თქმისა არ იყოს, კარგი ანეგდოტების წიგნის გამოცემა ვიტამინის დამზადების ტოლფასოვანია, იგი ადამიანისათვის სასარგებლოა და აფთიაქშიც უნდა იყიდებოდეს. ანეგდოტები, იუმორი, მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. ყოველი ქვეყნის იუმორი ასახავს ამა თუ იმ ხალხის კოლორიტსა და სპეციფიურობას. მას ხალხი ქმნის და ამიტომ იგი თავისი ბუნებით ეროვნულია, თუმცა მასში საერთო-საკაცობრიოც ძალიან ბევრია. საქართველო იუმორის ქვეყანაა. ქართული იუმორი უაღრესად მდიდარი და კოლორიტულია. იუმორის მოჭარბებული გრძნობა ქართველი კაცის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისებაა, მის სხვა ღირსებებს შორის. ქართული იუმორი ფართოდაა მიმოფანტული ხალხში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. რამდენი სიბრძნეა ჩაქსოვილი გურულ, მეგრულ, იმერულ, კახურ, სვანურ, ქართლურ, რაჭულ, აჭარულ და საქართველოს სხვა კუთხეების იუმორში. სამწუხაროა, რომ ამ ხალხური სიბრძნის გარკვეული ნაწილი, რომელიც ზეპირად თაობიდან თაობაში გადადიოდა, დაიკარგა.

იუმორის ბუნება ისეთია, რომ იგი შრომით კოლექტივებში, ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში იქმნება და ყალიბდება. საქართველოს ყველა რაიონში მრავლადაა ენამახვილი, ოხუნჯი, საზრიანი ქალი და კაცი, რომლებიც იუმორის უბადლო ნიჭით არიან დაჯილდოებული. იუმორს ფართოდ ვიყენებთ ქართულ სუფრაზე, ძირითადად ვიყენებთ უკვე ცნობილ მახვილსიტყვაობას, ვქმნით ახალსაც. საჭიროა ყოველივე ამას თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ, შევაგროვოთ, ჩავიწეროთ, საქართველოს ყველა რეგიონის ხალხური სიბრძნე.

თქვენს რაიონში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეში, იუმორი, ოხუნჯობანი, მახვილსიტყვაობა ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ მისი შეგროვება და ჩაწერა სამწუხაროდ თითქმის არ ხდება. საჭიროა ხალხური სიბრძნის შეგროვება თქვენი რაიონის ყველა სოფელში, რაიონული გაზეთის რედაქცია სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ საშვილიშვილო საქმეს და თავისი გაზეთის ფურცლებზე დააწესოს იუმორის კუთხე, სადაც სისტემატურად დაიბეჭდება რაიონის სოფლის მშრომელთა იუმორი. მოეწყოს ერთგვარი შეჯიბრება რაიონის სოფლებს შორის ლიტერატურის ამ ჟანრში, დავაწესოთ კონკურსი წლის საუკეთესო იუმორისტული ნაწარმოებისათვის და წავახალისოთ კონკურსში გამარჯვებულნი.

პირადად მე უკვე ოთხი ათეული წელია ვაგროვებდი და დღესაც ვაგროვებ მსოფლიოს და მათ შორის ქართულ ხალხურ ანეგდოტებს, იუმორს. სულ მალე გამოვა ჩემს მიერ შედგენილი წიგნი „მსოფლიოს ხალხთა ანეგდოტები", რომელიც ორ ათას ანეგდოტს მოიცავს. ამავე დროს ვამთავრებ ახალ წიგნს — „საქართველოს ხალხური იუმორი". ჩემი თხოვნა იქნება: ვისაც სურვილი აქვს გამოგვიგზავნოთ თქვენს მიერ შეთხზული ან შეგროვილი ხალხური იუმორი. მათ შევიტანთ წიგნში თქვენი სახელისა და გვარის მოხსენიებით და ორივე წიგნს საჩუქრად გამოგიგზავნით, ოღონდ თქვენი მისამართი მოგვწერეთ.

**ვალერიან ჭანია.**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორი.

წიგნის თაროს შევსება

# დაუვიწყარი შეხვედრების მადლით

„მოგონებები კონსტანტინე გამსახურდიაზე" — ასე ჰქვია ამ პატარა წიგნს, რომელიც ახლახან გამოუშვა გამომცემლობა „ალაშარამ". წიგნის ავტორია ჟურნალისტი იოლიტე გამსახურდია, რომლის წერილები, ნარკვევები და პუბლიცისტური ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.

ავტორისეული უზომო მოწიწება და თაყვანისცემა ქართული სიტყვის დიდოსტატისადმი გაცხადებულია წიგნის ანოტაციაშივე, სადაც ვკითხულობთ:

„ერთ საღამოს გალის რკინიგზის სადგურზე ავიღე ბილეთი და თბილისისაკენ მიმავალ მატარებელს გავყევი. გრიბოედოვის ქუჩაზე, სადაც მწერლის ბინა მეგულებოდა, მითხრეს, გალის ქუჩაზე გადავიდაო საცხოვრებლად. წავედი გალის ქუჩაზე, ვნახე აგურის მაღალკედელშემოვლებული კოლხური კოშკი და მორიდებით ვიკითხე მწერალი. გერმანიაში წავიდაო ერთი კვირის წინ, აქ ასე მიპასუხეს. რა მექნა, დავბრუნდი გალში და მომავალ შეხვედრაზე დავიწყე ფიქრი, სანატრელი შეხვედრა მართლაც შედგა. ამის შემდეგ, ვიდრე მწერლის გარდაცვალებამდე, ახლო ურთიერთობა მქონდა მასთან. ეს პატარა წიგნიც, რომელსაც არა აქვს კ. გამსახურდიას პიროვნებისა და შემოქმედების შეფასების პრეტენზია, სწორედ შეხვედრებისა და საუბრების ნიადაგზე დაიწერა.

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა აღნიშნულ გამოცემას.

**ჯ. თელია.**

ხსოვნა

# იან ქვანია

სამეგრელოს ულამაზეს ქალაქს თავისი საოცარი ხიბლი აქვს. ბევრი ადამიანისათვის ქცეულა ძველი კოლხეთის ეს შესანიშნავი კუთხე შთაგონების წყაროდ. ასე მოხდა ამჯერადაც. იანს ხელში ფუნჯი აიღებინა და აამეტყველებინა თავისი სამშობლოს მთა და ბარი, ქართველი კაცის შრომითი ცხოვრება.

თვითნასწავლი მხატვარი ძირითადად ტრაგიკულ და ფერწერულ ტილოებს ქმნის. მან თავისი შემოქმედება სახვითი ხელოვნების სამ ჟანრს პეიზაჟს, პორტრეტსა და ნატურმორტს დაუკავშირა. ყოველივე, რასაც იანი ქმნის — ბუნება, ადამიანი, ნივთიერი სამყარო არის დაკვირვების საფუძველზე. ბუნებას ის სულიერ სამყაროდ აღიქვამს, ამიტომაც მისი მხატვრულად სრულყოფილი პეიზაჟები საქართველოს პოეტური ხოტბაა. მათში ფერისა და სინათლის საოცარი ჰარმონია სუფევს. მხატვარს უყვარს ინტენსიური ფერი, კონტრასტულ ფერთა დაპირისპირება. მისი დამოკიდებულება სინამდვილესთან ყოველთვის აქტიურია, ესწრაფვის რა სინამდვილის ღრმა შესწავლას. იგი ცდილობს უაღრესად ლაკონური ხერხებით მიაღწიოს მაქსიმალურ გამომსახველობას პეიზაჟებში. მხატვრის მიერ შექმნილი ავტოპორტრეტი მისი განვლილი ცხოვრების თავისებური დახასიათება-შეფასებაა, რომელმაც საკავშირო გამოფენაზე მედალი დაიმსახურა. ბატონი იანი, პირველ რიგში თავისი ქალაქის, თავისი მიწა-წყლის მოტრფიალეა. ამიტომაც მისი ნამუშევრების უმრავლესობა ზუგდიდის სხვადასხვა სოფლებს ამშვენებს.

მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო სხვადასხვა დროს ხალხური შემოქმედებისა და თვითნასწავლ მხატვართა ხალხური ოსტატების რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენაზე.

ქვანიების ოჯახი მხატვრების ოჯახია. უფროსმა ქალიშვილმა ქეთევანმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, ხოლო ვაჟმა ზურაბმა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. ხატავენ შვილიშვილებიც, პატარა გიგი და თემური. ოჯახური ტრადიცია ლამაზად გრძელდება... ქვანიების ოჯახის მთავარი ღირსება ის არის რომ მყარად დამკვიდრდნენ მშობლიურ კერაზე, არ მოსცილდნენ მშობლიურ რაიონს და აქტიურად იღვწიან მისი სილამაზისათვის. ხატავენ, აფორმებენ, ზრუნავენ.

ბატონი იან ქვანია დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ამიტომაც ბუნებრივია, მისი ნამუშევრების უმრავლესობა სამამულო ომის თემატიკაზეა შექმნილი. საბრძოლო ცხოვრებაზე მოგვითხრობს დიდების ალბომი, ხოლო სამშობლოს წინაშე მის დამსახურებაზე უამრავი ჯილდო მეტყველებს. ეს იწერებოდა ცოცხალ იანზე.

რაოდენ ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ იგი აღარ გვყავს. არასოდეს მიეცემა დავიწყებას კაცი, რომელმაც იშრომა, იღვაწა, იზრუნა ხალხისათვის.

თავს მოწიწებით ვხრით თქვენი ნათელი ხსოვნის წინაშე, ბატონო იან!

**ლუიზა ქვანია,**
საქართველოს კულტურის სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის უფროსი მეთოდისტი.

ჩვენი ახალგაზრდა ავტორები

# სოლანლუღის სასაკლაო

„სიკვდილმისჯილებს ხვრეტდნენ ღამით, მინდორში, თბილისიდან მე-18 კილომეტრზე, სოფელ სოლანლუღის ახლოს...“

(გაზეთებიდან)

შენ სოლანლუღის ცოდვიანო, უძლებო მიწავ,
რამდენი სახლობს ამ მინდორზე ნატანჯი სული,
აქ მწვანოვანი ერთ დროს წითლად აგიბრიალეს,
უღვთოთ მოგთხარეს, ჩაგიყარეს გვამი. გვემული.
ჩუმად ლოცულობს მათთვის ხშირი ტირიფის ჩერო,
ნაზად ჭიკჭიკებს ჩიტი ლერწმის ლურჯ-მწვანე
ტოტზე,
ტკაცუნობს კვირტი მაისისა—ათქვირებული,
კიდევ არ შრება ცრემლის ნამი ამ თბილ მინდორზე.
ცხელი საკანი, უმოწყალო ცემა, დაკითხვა,
რეზინის ხელჯოხს ატრიალებს ვიღაც სადისტი,
ცეზზი არ არის პარტიულთა ჩვეულებრივად,
და სულ ერთია—მენშევიკი, თუ კომუნისტი...
„ადამ გირლანი“—სასაკლაო ადამიანთა!
ქედგაგანგრეულს ჩააჩვედეს ბერდენკის ტყვია,
ცამდე აფოფრილ ბოლო მზერას, აზრსაც აყოლებს,
და მისი ფიქრი შთამომავალთ ვერ შეუტყვია.
„ადამ გირლანი“—მატიანე ავბედითობის!
„ადამ გირლანი“ —ყრუ წარსულის მწარე ტკივილი!
უტოპიური იდეების ბრმად შემცნობელთა,
შეუცნებელთა მირაჟებით გარს მოფენილი.

თემურ თოლორაია.

# როცა მონდომებაა

ბათუმისა და საკაჭის ქუჩის მცხოვრებლებს მრავალი მოუგვარებელი პრობლემა გაგვაჩნია, მაგრამ ყველაზე მეტად ელექტროშუქის ხშირი გამორთვები გვაწუხებდა. თითქმის ყოველდღე გვიხდებოდა სიარული ელქსელის მესვეურებთან, რომლებიც გამორთვების მიზეზად ასახელებდნენ საკაჭის ქუჩაზე დამონტაჟებულ მოძველებულ ტრანსფორმატორს, გვპირდებოდნენ მის ახლით შეცვლას, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა.

ბოლოს და ბოლოს გვეშველა, როცა ელქსელის ახალმა ხელმძღვანელობამ (უფროსი ბ. კვარაცხელია) ყველაფერი იღონა დასახელებული ქუჩის მცხოვრებთა გასაჭირის მოსაგვარებლად. ძველი ტრანსფორმატორი ახლით შეიცვალა, ერთ დღეში დაამონტაჟეს იგი ახალგაზრდა ინჟინერმა თ. ქარჩავამ და მონტიორმა ქ. ქადა[illegible] ური დახმარება გაუწიეს აღნიშნული ქუჩის მცხოვრებლებმა ვ. ცხადაიამ, გ. ჩიქოვანმა, თ. დადიანმა, მ. ჩიქოვანმა, ა. სოსელიამ, ბ. გულორდავამ, ფ. აბშილავამ და სხვებმა.

როცა საქმეს მონდომებული ადამიანები გამოუჩნდნენ, საშველიც დაგვადგა. მადლობა მათ გულისხმიერებისათვის.

# გ. ი. კიტია

ვეტერან ტრანსპორტელთა რიგებს გამოაკლდა ქალაქის ტაქსომოტორების მსუბუქი ტაქსის მძღოლი, მრავალი ჯილდოს კავალერი, ზუგდიდის ქომაგი და მოტრფიალე, გვანჯი (ლუკა) იროდის ძე კიტია.

იგი დაიბადა ჩვენს ქალაქში 1926 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაეუფლა მძღოლის პროფესიას. მაღალი კვალიფიკაციის მძღოლი მუშაობდა ქალაქის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში. 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მსუბუქი ტაქსის მძღოლი. უავარიოდ გავლილი მისი მილიონი კილომეტრები და მგზავრთა მომსახურების მაღალი კულტურა მისაბაძი იყო სხვათათვის.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მოქალაქე, საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს თანაქალაქელთა გულებში.

ზუგდიდის მსუბუქი ტაქსომოტორების საწარმოს კოლექტივი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

## გ ა ს წ ო რ ე ბ ა

27 ივნისის გაზეთ „ოდიშის“ ინფორმაციაში „საკრებულოების პირველ სესიაზე“ ჩვენი მიზეზით დაშვებულია შეცდომა. სოფელ კორცხელში საკრებულოს მდივნად არჩეულია კლიმენტი (როდიკო) ლაგვილავა.

ა. გაგნიძე,
ქ. ზუგდიდის საკრებულოს მდივანი.

პედიატრი როზა თოფურია, ფარმაცევტი აზა კაკულია, №4 საშუალო სკოლის პედაგოგები, სვერდლოვის ქუჩის მოსახლეობა ემადლიერებიან ნიჭიერ ბიოლოგს, ხალხური მედიცინით მკურნალს თინა მექის ასულ ჭანტურიას, უსურვებენ შემდგომ წარმატებებს ამ სამადლო საქმეში.

ზუგდიდის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ წრეებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურის წრე (პედ. ნ. აკობია).
2. საქართველოს ისტორიის წრე (პედ. ჯ. ნაჭყებია).
3. უცხო ენის შემსწავლელი წრე (ინგლისური პედ. ლ. ლაგვილავა).
4. მათემატიკის წრე (პედ. დ. გახარია).
5. სახვითი ხელოვნების წრე (პედ. ჯ. ჭურღულია).
6. ფოლკლორის წრე (პედ. მ. დამენია).
7. მხატვრული კითხვის წრე (პედ. მ. ფარცვანია).
8. დრამატული წრე (პედ. ი. მოსია).
9. ფოტომოყვარულთა წრე (პედ. ა. ყუფუნია).
10. სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრე (პედ. გ. კაპანაძე).
11. ნორჩ მეოჯახეთა წრე (ქსოვა, ქარგვა) (პედ ვ. ველენავა).
12. ვოკალური წრე (პედ. ი. ჩიგოგიძე).
13. ქიმიის წრე (პედ. ნ. ჯანჯღავა).

საგნობრივ წრეებში მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე პროფტექნიკური სასწავლებლის, ტექნიკუმებისა და მე-8—მე-11 კლასის მოსწავლეები, აგრეთვე ის აბიტურიენტები, რომლებსაც ცოდნის გაღრმავების სურვილი გააჩნიათ მათთვის საინტერესო საგნებში.

შემოქმედებით ჯგუფებში კი მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე მე-4—მე-11 კლასის მოსწავლეები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციას. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №77, ტელეფონი 2—31—54.

დირექცია.

ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

კომერციული, სპორტული კოოპერატივი „იღბალი“, ყოველ კვირა დღეს, გიწვევთ ასპარეზობაზე, სპორტულ მოკლე ნარდში.

შეჯიბრება ჩატარდება 8 ტურად, ნარდის საერთაშორისო წესებით, ოლიმპიური სისტემით. ყოველ ტურში გამსვლელი ქულა—8, დამარცხებულები ეთიშებიან ასპარეზობას. დაწესებულია პრიზები:

პირველი ადგილი 6000 (ექვსიათასი) მანეთი.

მეორე ადგილი 3000 (სამი ათასი) მანეთი.

მესამე ადგილი 2000 (ორი ათასი) მანეთი.

მეოთხე ადგილი 1000 (ათასი) მანეთი.

გარდა ამისა ოთხივე პრიზიორი მომდევნო ტურნირზე დაიშვებიან, მონაწილეობისათვის შესატანი თანხის, (800 მანეთი), გადახდის გარეშე.

იჩქარეთ, მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია (64 მონარდე).

პასპორტით რეგისტრაცია და დაწვრილებითი ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9-დან 14 საათამდე, მისამართზე:
ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. №29. ქალაქ ზუგდიდის სპორტსკოლა. ტურნირის ხანგრძლივობა 4-5 საათი.

კოოპერატივის გამგეობა.

ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის წარმოება-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა საყურადღებოდ!

ყოფილი ქარხანა „ვექტორის“ პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით საჭირო გახდა მშენებლობის ტერიტორიაზე არსებული ქვაბულების გაუქმება, რომლის ამოსავსებად შეგიძლიათ ჩაყაროთ ყოველგვარი სამშენებლო, საწარმოო და სხვა სახის მყარი ნაგავი, გარდა ორგანული ნაერთებისა,

№3 სამშენებლო სამმართველო.

მეუღლე ხიხუ, შვილები: ნათელა ფრანტი, ეთერი ჯუმბერი, გურამი, გულადი, სიძეები: ბოჩო შულაია, დავები გვაზავა, ორლენ ქარდავა, შვილიშვილები: თამაზი, ემზარი, ელისო შულაიები, ქეთო ნუნუ, ნინო, მამუკა, ბექანი გვაზავები, როინი, ლერი ქარდავები, რომანი, ნანა ელგუჯა, გია, ია, მალაზონიები, შვილთაშვილები: ინგა შულაია, შორენა, ჯონი, ხათუნა ჯანგულაშვილები, სალომე, ელენე ქოთელიები, ბესიკი, გიორგი ხარიაშვილები, სოფიკო გვაზავა, რძლები მარგო, თამარი, ლუბა, ნარგიზა, მიმოზა, ნაზო, ძმისშვილები: ტატი, არონი, მამია ნუგზარი, ცაცაიკო მალაზონიები, დისშვილები: ბოჩო ესებუა, შალიკო მიქავა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ამირან ტაგუს ძე მალაზონიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 ივლისს წალენჯიხის ჩაის მეურნეობაში.

ზუგდიდის მშენებლობის ზონალური დირექცია თანაუგრძნობს ხუტა ხარლამპიდს ცოლისძმის

**ბოჩია ვლადიმერის ძე ქანთარიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან განყოფილების მედდის

**მარინა ალექსანდრეს ასულ ხორავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბავშვთა პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან

**გვანჯი იროდის ძე კიტიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კახათის №1 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებით იუწყება თანამშრომლის ვენერა ქანთარიას ძმის

**ბოჩია ვლადიმერის ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მერაბ კოსტავას საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება იუწყება

**ბოჩია ვლადიმერის ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მამა ალექსანდრე, შვილები: მალხაზი, თემური: ძმები ნუგზარი, ჯუმბერი, [illegible]ტანგი, რძლები: ნათელა ქებურია, ია ქირია, ლიანა შანავა, ძმისშვილები: ირმა, ირაკლი, ლევანი, ალიკა, ნუნუკა, დეიდა ნუცა, ბიძა ბოჩო ხორავა, იანგო, ლუდა, შაქრო, მოგელი, იგორი, როდიკო კიკალიშვილები, მეგონა ძაპტაშვილი, ბიცოლა დოდო, მარუსია ხორავა, ფენია, ანელა, სულიკო, ციალა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარინა (სინეზა) ალექსანდრეს ასულ ხორავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ივლისს. დაკრძალვა 9 ივლისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კობახიძის ქ. 11.

დედა ვერა სტაცენკო, ბებია ეკატერინე ვოზნიუკი, ბიძები ვლადიმერი და ლეონიდი ვოზნიუკები, ბიცოლები: ნელი, ვალენტინა, ბიძაშვილები იგორი, ლილია, ვიტალი, იურა ელჩენკო ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ირინა ვიქტორის ასულ სტაცენკოს**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 6 ივლისს, დაკრძალვა 7 ივლისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, დადიანის ქ. 5-დან 6 საათზე.

დები: ქსენია, ნათელა, დისშვილები: თამაზი, ხუტა, სოსო, ქეთინო, დისშვილიშვილები: დათო, მაია, ომარი ნანი, ბადრი, თამარი, ლევანი, ნინო, სიძეები: კლიმენტი ლაგვილავა, ვიტალი ქვარცხავა, თემურ შურღაია, გოჩა ბულია, რძლები: ნონა, ნათელა, მარინა, ინგა, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ჟუჟუნა ძაკუს ასულ გაბისონიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 8, 9, 10 ივლისს, დაკრძალვა 11 ივლისს მაცხოვრის კარის ქ. 55.

ქ. ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია, სამშობიარო, გინეკოლოგიური და ჩვილბავშვთა განყოფილებების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთინო და ნუგზარ კიტიებს მამის

**გვანჯი იროდის ძე კიტიას**

გარდაცვალების გამო.

ნუცა და ბონდო ანთიები შვილებით: ეკა, ლელა, დათო, შვილიშვილები: ანა, ლევანი, ჩხანა, სიძე თორნიკე გობეჩიათი იუწყებიან მეზობლის

**ეთერი ერასტოს ასულ თოდუა-ჭანაშიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მწუხარებაში განსვენებულის ოჯახს.

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანამშრომელი

**იგორი კირილეს ძე გოძელაძე**

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 47 09.
საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა — მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 8000 შეკ. № 2796